# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე.“

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 26 ნიუ-იორკი. მაისი, 1958 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK. MAY, 1958


ნიუ-იორკი, მაისი 1958.

## 19 მაისი

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია განუწყვეტელი ჯაჭვია ეროვნული უფლებების და დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივი არებობისათვის ბრძოლებისა. იგი სავსეა გმირული თავდადებისა და თავგანწირვის მაგალითებით. მრავალმა მამულიშვილმა დაიდგა მოწამებრივი გვირგვინი სამშობლოს ერთგულებისათვის და მრავალი მათგანის სახელები, ლეგენდარულად ქცეულნი, ჩვენამდე მოსულა. აი ამ ლეგენდარულმა გმირებმა შექმნეს ეროვნულ-პატრიოტული ენტუზიაზმი. ამ მოგონებაზე ინთება ყოველი ქართველის გული და იდუმალი ხმა ბრძოლის ველისაკენ მოუწოდებს მას. ერმაც სიყვარულისა და სათნოების ძეგლი აუგო ამ გმირებს და თავისი მარადიული მეხსიერებით უკვდავ ჰყო მათი სახელები.

„რა უთხრა ისეთ ქართველსა
„ვის ომი გაჰკვირვებია
„და სააკაძე გიორგი
„ჯერაც არ მოჰგონებია.

ამ სიტყვების მოსმენაზე რამდენი ახალგაზრდა ათრთოლებულა ბრძოლის ჟინით, რამდენ მოხუცს სინანულით თავი გადუქნევია და მწარე მოგონებებს მისცემია, რამდენ ახალგაზრდა ქალს გულში კრძალვით — ამ გმირთა ტრფობა გაუვლია და რამდენ დედას თავისი შვილისათვის ეს სიტკბოება უნატრია!..

მაგრამ ეს იყო წარსულში და მთელი საუკუნის მანძილზე რუსეთი ცდილობდა ქართველი ერი დაეშორებინა თავისი წარსულისაგან და ხალხის მეხსიერებიდან განედევნა გმირულ ბრძოლათა ხსოვნა და საყვარელ გმირთა სახელები. 1801 წლიდან, რუსეთის წინაამდეგ ბრძოლით და აჯანყებებით დაქანცული საქართველო მიინაბა და ხელსაყრელ მომენტამდე, დამპყრობელისადმი შეურიგებლობას იდუმალობაში ზრდიდა. ამ პერიოდში შეიძლებოდა ვისმეს ეფიქრა, რომ ქართული გმირული ისტორია, ან მხოლოდ ლეგენდაა, ან ქართული სისხლი დაიღალა და მას ველარ შექმნის.

მაგრამ საკმარისი იყო რუსული რევოლუცია, რომ ქართული ეროვნული სიტყვა და აზრი კვლავ აზვირთებულიყო და თავის ტრადიციებს დაბრუნებოდა. ქართულმა მამულიშვილურმა შეგნებამ კვლავ შექმნა გმირული და უანგარო თავგანწირვის განმაცვიფრებელი მაგალითები. ამ გარემოებამ ნათელჰყო ქართული ჯიშის უკვდავება, მისი სიმხნევე და ეროვნული ენერგიის დაუშრეტლობა.

1921 წელს ხელმეორედ შემოესია რუსეთი საქართველოს, ამ შემთხვევაში კომუნისტური. მან ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა ქართული სახელმწიფოებრიობა და საქართველო კვლავ თავის კუთვნილებად გამოაცხადა. ქართველი ერი ტრადიციულ გზას დაუბრუნდა და დამპყრობელს შეურიგებელი ომი გამოუცხადა. ეროვნულ-პატრიოტულ ორგანიზაციებში ჩაიკეტა მთელი საქართველო და არც ერთი შემთხვევა არ გაუშვა, რომ წითელ საოკუპაციო ხელისუფლებისათვის თავისი ურჩობა და შეურიგებლობა არ ეგრძნობინა.

მას შემდეგ გადახდილ გამანთავისუფლებელ ბრძოლებს, მანათობელ ვარსკვლავად დაჰქათქათებს ქართული სამხედრო ცენტრის წევრების მოწამებრივი სიკვდილი. ბოლშევიკური ოკუპაციის პირველსავე თვეებში, შეიქმნა განმანთავისუფლებელი ბრძოლის ეროვნული და სამხედრო ხელმძღვანელობა. სამხედრო ცენტრში შედიოდნენ იმ დროს გამოჩენილი ქართველი მხედრები: გენერალი კოტე აფხაზი, გენ. ალ. ანდრონიკაშვილი, გენ. ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, პოლკ. გიორგი ხიმშიაშვილი, სამხედრო უნცროსი მოხელე მიხეილ ზანდუკელი, ოფიცერი სიმონ ბაგრატიონ მუხრანელი, პოლკის უფროსის თანაშემწე ფარნაოზ ყარალაშვილი, პოლკ. ელიზბარ გულისაშვილი, პოლკ. ალ. მაჭავარიანი, ოფიცერი ლევან კლიმიაშვილი, საარტილერიო დივიზიის უფროსი დიმიტრი ჩრდილელი, იასონ კერესელიძე, ივანე ქუთათელაძე და სიმონ ჭიაბრიშვილი.

ამ შერჩეულმა გუნდმა დასახა პირველი აჯანყების გრანდიოზული გეგმა, რომელიც ხევსურეთ-დუშეთ-კახეთიდან უნდა დაწყებულიყო და მთელ საქართველოს მოსდებოდა და მისი პრაქტიკული ხელმძღვანელობა, პარტიზანულ ბრძოლებში უკვე სახელგანთქმულ ქაქუცას დააკისრა. საიდუმლო გამომჟღავნდა და გამხეცებული მტერი შურის ძიებამ შეიპყრო. უპირველეს ყოვლისა ხელი ჩაჰკიდეს სამხედრო ცენტრს. უტყუარი წყაროდან ვიცით, რომ როდესაც ჩეკამ გადასწყვიტა ცნობილი ქართველი მხედრების დატუსაღება, გენ. კოტე აფხაზს ეახლა დელეგაცია და სთხოვეს გაქცეულიყო. მან წყნარად უპასუხა: **„ვისაც საქართველო უყვარს, ის თბილისში უნდა მოკვდეს. მე სამარცხვინო არაფერი ჩამიდენია, და რაც ჩავიდინე, იმას საჯაროდაც დავიცავო“.** მაგრამ ჯალათებმა მას თავისი მოქმედების დაცვის შესაძლებლობა არ მისცეს...

კომუნისტური სიმხეცე სიმართლეს და სამართლიანობას ვერ იტანს და განსაკუთრებით ის ვერ გაუძლებდა ეროვნულ და პატრიოტულ გრძნობით გაჟღენთილ საქართველოში, სადაც ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდნენ წინააღმდეგობას. სახელოვან ქართველ მამულიშვილებს კომუნისტ ჯალათებმა ჩეკის ჯურღმულში გამოუტანეს სიკვდილის განაჩენი და მაშინადვე ის სისრულეში მოიყვანეს.

დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის ორმოცი წლის თავზე, სიყვარულითა და სასოებით ვიგონებთ დამოუკიდებლობისათვის აღსრულებული მამულიშვილების სახელებს, რაც განპიროვნებულია ლეგენდათ ქცეულ „სამხედრო ცენტრის“ და პარტიზანულ ბრძოლის სიმბოლო — ქაქუცას სახელით.

მუხლმოდრეკილი შევღაღადებთ:

**დიდება თქვენ!**



## 26 მაისი — — 1918 წელი

**ას წელზე მეტს იბრძოდა და ნატრობდა საქართველოს აღდგენას ქართველი ერი. თითქმის 40 წელიწადია კვლავ იბრძვის და ნატრულობს ამასვე. ხანმოკლე იყო მისი დამოუკიდებლობა, მაგრამ სამი წელიწადი ანათებდა მისი მზე წარსულს და მომავალ ბრძოლებს და მუდამ იმავე მტერთან 158 წელიწადია. ორჯერ გასთელა ფეხით რუსეთმა თავისივე ხელშეკრულებანი საქართველოსთან და ამით დაიწყო თავისი უპირო და უნაპირო იმპერიალიზმის განვრცობანი. არ დაკმაყოფილდა ქვეყნის მეექვსედით და 1921-1945-დან დღემდე — ქვეყნიერების ერთს მეხუთედს მიაღწია. იჭაჭება, კვლავ დარჩენილი თავისუფალი მსოფლიოც ხელში ჩაიგდოს და „ერთა საპყრობილეში“ კარები გამოუხუროს.**

**მაგრამ ბაყაყიც იჭაჭებოდა ხარად გადაქცეულიყო და გასკდა. ქვეყნის დასაბამიდან სხვა იმპერიებიც სცდილობდნენ მსოფლიოს დაჰპატრონებოდნენ, მაგრამ ვერც ერთმა ვერა ჰზიდა ეს საპალნე და დაინთქა. ასევე მოუვა რუსეთს, — ეს კანონია პოლიტიკური ბუნებისა, — როცა სხვა სახელმწიფონი და ერები გონს მოვლენ თანამედროვე გაშტერებისაგან.**

**მეოცე საუკუნის მრავალმა პატარა და მსოფლიო ორმა დიდმა ომმა სრულიად შეარყია საერთაშორისო წონასწორობაც, მორალიც, შეგნება და მცნებანი. წინად თუ ევროპა ჰბატონობდა და ჰპატრონობდა მსოფლიოს, რუსეთსა და ამერიკას, შედარებით, მეორე ადგილი ეჭირათ. დღეს ასპარეზზედ ორი უკანასკნელი ფალავანი ლა დარჩა. წინად თუ მცირედი ინციდენტი, მორალური უკულმართობა რაიმე, ან სიტყვიერი ზვიადობაც იწვევდა აღშფოთებასა და ომებსაც კი, დღეს ერთმანეთს პირში აფურთხებენ, მომაკვდინებელ ინციდენტებს ჰყლაპავენ ერთმანეთისგან, მორალს ხომ გასავალი სულ დაეკარგა. თვით ცნობიერებაც დარღვეულია. მსოფლიო რაღაც მოლოდინის დაჭიმულობაშია.**

**მაგრამ, ამავე საუკუნემ გამოაღვიძა ძველთაგან ძველი ცნებანი: ერი და იმპერია, მცნებანი სამართლიანობისა და თავისუფლების ძებნისა; აზია და აფრიკა სდუღან, ერები ეცლებიან იმპერიების ბრჭყალებს და სხივები მშვიდობიანობისა, მსოფლიოს ჩადგომისა ეროვნულ კალაპოტში — აქა იქ მკაფიოდ კიაფობენ. შეუძლებელია, ერთად ერთი იმპერია, და ისიც ყველაზედ ვერაგი, ცრუ-ფანტასტიური და ისტორიაში გაუგონარი, — რუსეთი — გაექცეს ამ კანონს. და ეს მოხდება მაშინ, როცა რუსეთის პრჭყალებში მოქცეული ერები, და, ჯერ მის გარეშე დარჩენილი სახელმწიფონი, საბოლოოდ მიხვდებიან, რომ რუსეთის იმპერია და „კომუნიზმი“ — სინონიმები არ არიან. იმპერია, უცვლელი გულია, „კომუნიზმი“ — ახალი ქურქი. როცა ეს ყველასათვის აშკარა გახდება, თვით რუსეთის ერიც განიკურნება ჭირისაგან და მსოფლიოც დაშოშმინდება. ჩვენ არა გვჯერა, ეს მოხდეს ევოლუციის გზით, მაგრამ საქართველოსი და რუსეთის სხვა ყმა ერების ხსნა, და თვით რუსებისაც, ამ მსოფლიო დაჭიმულობის კვანძთან ერთად გაიხსნება მხოლოდ. ვინც მსოფლიო ისტორიას იცნობს ერთა და იმპერიათა საუკუნოებრივი ჭიდილისა, არასოდეს ამის იმედს არ დაჰკარგავს.**

**ჩვენ, ქართველებმა, ეს ყველაზედ უკეთ ვიცით, არა ცარიელი სიტყვით და ყალბი თეორიებით, არამედ ათასწლოვანი სისხლიანი გამოცდილებით: ჩვენს გარშემო ყველა მსოფლიო იმპერია დაინგრა, — რუსეთიც უნდა დაინგრეს და დაინგრევა კიდეც!**

MOSCAU DELENDA EST, **გაუმარჯოს საქართველოს!**

**რ. გაბაშვილი.**

## მ ო გ ო ნ ე ბ ი დ ა ნ.

1920 წლის დეკემბრის უკანასკნელ დღეებში საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგის ს. მდივნის ხელმძღვანელობით ქართული დიპლომატიური მისია გაემგზავრა თბილისიდან ანგორაში. მგზავრობა გაგრძელდა 35 დღე და მდივანი თავისი მხლებლებით დანიშნულ ადგილზე მხოლოდ 1921 წლის იანვრის 31-ს ჩავიდა.

როგორც მისიის წევრი პირველი დღიდანვე ვაწარმოებდი დღიურს, რომლის ერთ ნაწილს, კერძოდ ქართული მისიის და ქემალის პირველ შეხვედრას ქვემორე აღვწერ იმ იმედით, რომ ქართველი მკითხველისათვის არ იქნება ინტერეს მოკლებული.

**თებერვლის 8.** დღეს უნდა მოხდეს ქემალ ფაშის და მდივნის შეხვედრა. დანიშნულია სამ საათზე. ორ საათზე ჩვენ წასაყვანად მოვიდნენ ახმედ ბეი (საგარეო სამინისტროს საქმეთა მმართველი) და ქემალის ადიუტანტი. ეს უკანასკნელი, აფხაზი, ანჩაბაძე გამოდგა, რომლის მამაც გადასახლებულა ოსმალეთში.

სახლიდან გავედით ორნახევარ საათზე და სამისთვის მთავრობის სასახლეში ვიყავით, სადაც მიგვიღო ქემალმა. ს. მდივანმა წარგვადგინა ჩვენ— თავისი ოთხი თანმხლები: გენ. ერისთავი, არისტო ჩუმბაძე, ემუხვარი და მე. ოსმალოები იყვნენ ორნი; თვით ქემალ ფაშა და ახმედ ბეი. გარეშე საქმეთა მინისტრი ამ დროს ლონდონის კონფერენციაზე იყო წასული და ამიტომ მოლაპარაკებას მისი სამინისტროს მმართველი ესწრებოდა.

ს. მდივანმა ჩააბარა თავისი რწმუნება. როგორც წინასწარ შეთანხმებულნი იყვნენ, სიტყვები არ წარმოსთქვეს და პირდაპირ შეუდგნენ საქმეს.

ქემალ ფაშა ლაპარაკობდა თათრულად და თარგმნიდა ახმედ ბეი. მდივნის სიტყვებს თარგმნიდა ვ. ჩუმბაძე ჯერ ფრანგულად, ხოლო ფრანგულიდან თათრულად ახმედ ბეი. მუსტაფა ქემალ ფაშა სუსტად ლაპარაკობდა ფრანგულად, მაგრამ ხანდისხან აჩერებდა ახმედ ბეის და ისიც ასწორებდა თავის ნათარგმნს. საზოგადოთ ქემალს ეტყობოდა ქართული საკითხის ინტერესი.

განზრახ თუ შემთხვევით, ქემალი ჩრდილში დაჯდა, ჩვენ კი სინათლეში მდგარი სკამები შემოგვთავაზეს.

მისალმების შემდეგ მდივანმა განაცხადა: „მე დიპლომატი არა ვარ, და არც ვიცი საიდუმლო დიპლომატიის ხერხები. ჩემმა მთავრობამ აქ იმ იმედით გამომგზავნა, რომ მოლაპარაკება დამყარდება გულწრფელობაზე“-ო.

ორივე მხარე კმაყოფილდებოდა ერთი მეორის მოკლე საპასუხო სიტყვებით.

ქემალმა ს. მდივანს მიულოცა ანტანტის მიერ საქართველოს იურიდიული ცნობა და ოსმალეთის სახელით განაცხადა უდიდესი სიამოვნება. „ჩვენ საქართველოსთან გვაკავშირებს არა მარტო სიმპატიები, არამედ ინტერესებიც ჩვენ ძლიერი მტრები გვყავს დასავლეთით და გვჭირდება ძლიერი მეგობრები აღმოსავლეთით. განსაკუთრებით გვჭირდება ძლიერი კავკასია, ხოლო კავკასიაში ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელსაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, საქართველოა. ჩვენ გვჭირდება საქართველო ძლიერი და დამოუკიდებელი. საქართველომ და ოსმალეთმა უნდა იზრუნონ, რათა კავკასიის სხვა ერები იყვნენ თავისუფალნი“.

**ს. მდივანი.** აღმოსავლეთში საჭიროა ძლიერი ოსმალეთი და საქართველი. საქართველომ კარგად იცის თუ რას ნიშნავს უცხო ხალხის ბატონობა. 117 წლის განმავლობაში განვიცდიდით მას. მაგრამ საქართველოს არც ერთ პერიოდში იარაღი არ დაუყრია და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. მან გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებები და წარმოებული ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინა, რაც ანტანტის მიერ მის იურიდიულ ცნობაში გამოიხატა. საქართველოს კავკასიაში ბევრი არაფრის გაკეთება შეუძლია, თუ ამ საქმეში მას არ უშველა ოსმალეთმა. 1918 წელს, საქართველომ ვერ შესძლო კავკასიის მყარი ორგანიზაციის შექმნა, რომლის მიზანიც კონფედერატიული კავკასია იყო. ეს ცდა მრავალი საგარეო და საშინაო ხასიათის გავლენით ჩაიშალა.

**ქემალ ფაშა.** საქართველოში სოციალ დემოკრატიული პარტია, რომლის პროგრამაც წააგავს ოსმალეთის ეროვნული ყრილობის პროგრამას, ესეც შეთანხმების ხელის შემწყობი იქნება.

**ს. მდივანი.** საქართველოში სოციალ დემოკრატების გარდა სხვა პარტიებიც არსებობენ, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში ყველა სოლიდარულია.

**ქემალ ფაშა.** ამ პირველ შეხვედრაზე არ შევუდგები შეთანხმების დეტალების გარჩევას, მაგრამ რადგან ქართულ საკითხზე ყველა მინისტრები ერთი აზრის არიან, ამიტომ დარწმუნებული ვარ, ხელს ვერაფერი შეგვიშლის.

ამის შემდეგ ქემალი გენ. ერისთავის სახით მიესალმა ქართულ ლაშქარს. გენერალმა მადლობა მოახსენა. გაგვიმასპინძლდნენ ყავით და პაპიროსებით. აუდიენცია გაგრძელდა ერთი და მეოთხედი საათი. ამ ხნის განმავლობაში, არც ერთხელ არ ყოფილა ხსენებული ბოლშევიზმი.

დამშვიდობების დროს ქემალმა მდივანს რამდენიმე სიტყვა უთხრა ფრანგულად.

სახლში დაბრუნებისთანავე, დაუყონებლივ აღვმართეთ ქართული დროშა და ეროვნული ღერბი. იმავე საღამოს, ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვაუწყეთ დეპეშით ჩვენი პირველი შეხვედრის შედეგები.

ქემალ ფაშის უახლოეს თანამშრომელთა შორის, რომლებიც იზიარებდნენ ქემალის აზრს საქართველოს შესახებ და „ძლიერი კავკასიური ბუფერი“ საჭიროდ მიაჩნდათ, იყვნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ბექირ სამი ბეი, წარმოშობით კავკასიელი. ცნობილ გენერალი კუნდუხოვის შვილი და ოსმალეთის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარ სარდალი და ბერძნების დამარცხების გამო მარშლად წოდებული იზმეტ ფაშა, ქემალის სიკვდილის შემდეგ — ოსმალეთის პრეზიდენტი, იზმეტ

ინონუ. მდივანთან საუბრის დროს ქემალმა მრავალჯერ გაიმეორა, რომ „იზმეტ ფაშა საქართველოს დიდი მეგობარიაო".

ამის შემდეგ, უახლოეს მომავალში წარმოშვებულ მოვლენებმა იძულებული გაგვხადა ძალიან დიდი ხნით გადაგვედო გაერთიანებული, ძლიერი და თავისუფალი კავკასიის იდეის განხორციელება.

ამ მოვლენებმა დააზარალა არა მარტო კავკასია, არამედ ოსმალეთი და მრავალი სხვა სახელმწიფოებიც.

**დ. შალიკაშვილი.**

## შ უ ა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა კ ი თ ხ ი

სუეცის არხის ნაციონალიზაციის შემდეგ, ნასერის აქტივში, ყველაზე მნიშვნელოვან აქტად ჩაითვლება სირია-ეგვიპტის გაერთება. მთელი მსოფლიოს ისტორიაში პირველი შემთხვევაა, რომ ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ნებაყოფლობით აუქმებდეს თავის სახელმწიფოებრივ თვითმყოფობას და ქმნიდეს ერთ „გაერთიანებულ რესპუბლიკას", რომლებსაც ერთიმეორესთან ტერიტორიალური მიდგომაც კი არა აქვთ.

მართლაც, გაუგონარი ამბავია, რომ ფედერატიული სახელმწიფო შექმნა, საერთო პოლიტიკითა და მხედრობით ისე, რომ ფედერაციაში არ შემავალი, უცხო და ზოგ შემთხვევაში მტრულად განწობილი სახელმწიფო გაშორებდეს! განა წარმოსადგენია იმ გვარი სახელმწიფო, რომლის მეთაურსაც თავის ტერიტორიაზე მოგზაურობისთვის დასჭირდება სხვა სახელმწიფოებისგან ვიზის მიღება?! ეს მომენტი ბევრის მაჩვენებელია და მრავალის მთქმელი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეგვიპტე-სირიის გაერთიანება მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი განზრახვისა, რომელიც კაიროს დიქტატორმა გულში ჩაიდო და რომლის ტყვეთაც ის გადაიქცა!

საერთოდ ეგვიპტის მოძრაობამ ნათელჰყო, რომ ყოველი ტოტალიტარული რეჟიმი, მემარცხენე იქნება ის თუ მემარჯვენე, მოკლებულია განსჯის უნარს და ვერ იწყნარებს გონიერებას. ყოველი დიქტატორის ბუნება, ყველა ქვეყანაში ერთნაირია და მისი მოქმედება უპირველეს ყოვლისა პროპაგანდული ხასიათისაა, რომელსაც ხშირად ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიც შეიძლება ემსხვერპლოს.

ამ პროფილშია წარმოდგენილი ნასერის უკანასკნელი საპროპაგანდო გათამაშება, რომელსაც დიდ არაბეთის გაერთიანებას და მძლავრ იმპერიის შექმნას უსახავს მიზნად და რომელიც ჩვენ მიგვაჩნია ეგვიპტელი ხალხის ეროვნული ინტერესების ფატალურ ეპილოგად.

ეს მოვლენა გადანაცვლებაა ყველა იმ დოქტრინის და იდეოლოგიის, რაც წინ უსწრებდა ეგვიპტის რევოლუციას, რომელმაც ეტყობა თავის განვითარების უმაღლეს წერტილს უკვე მიაღწია და კოლონელ ნასერის კონტროლის ქვეშ მოექცა. „400 მილიონი მუსულმანის გაერთიანება! აი გიგანტიური შემოქმედება, რომელიც მოითხოვს უნარიან და ნიჭიერ შემოქმედს და ეს არის რევოლუციონური ეგვიპტის მეთაური ნასერიო", ვკითხულობთ „რევოლუციის ფილოსოფიაში".

რომელი ფორმა შეიძლება გამონახოს ამბიციების უფრო ნათლად გამოსათქმელად? ნასერმა თვითონ მიიკუთვნა მთელი მუსულმანური სამყაროს მეთაურის, მფარველის და გამანთავისუფლებელის როლი და მან ეგვიპტური ნაციონალიზმი დააშენა არა თვითრწმენაზე, არამედ ძალაზე; მან მიზნათ დაისახა არა ეგვიპტური ნაციონალიზმის სამართლიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მისი ეკონომიური და კულტურული აღორძინება, არამედ 400 მილიონი მუსულმანის გაერთიანება და ამ ფიზიკური ძალით ქვეყნიერების დაშინება და მის წინაშე დაჩოქება!

აი თურმე რატომ ხვდებოდა და დღესაც ხვდება გაურღვეველ კედელს დასავლეთელების ცდა, რომ შუა აღმოსავლეთის საკითხი სამართლიანობის და წესიერების ფარგლებში მოაქციონ და ისე გადაწყვიტონ!.

ნასერმა საერთაშორისო ხასიათის ყოველ საკითხი თავისი ამბიციების სიბრტყიდან გამოსჭვრიტა და დაუფარავად ამჟღავნებს, რომ ცოცხლობს, ცეცხლითა და მახვილით მთელ მსოფლიოში გადავლილ არაბების აჩრდილებით და მოჩვენებებით. შურისძიების და განდიდების ბურუსში გახვეული მედიდური დიქტატორი ველარ ითვალისწინებს იმ მწარე მომავალს, თუ დასავლეთი არაბებს სამუდამოდ მოსწყდა და ის პირისპირ შერჩა გაშმაგებულ რუსულ იმპერიალიზმს.

400 მილიონი მუსულმანის მეთაურის როლში შესულმა ნასერმა, გასულ თებერვალში, თავისი გამარჯვება იდღესასწაულა და ეგვიპტე-სირიის „გაერთიანებული არაბული რესპუბლიკის" მეთაური გახდა. პლებისციტური გათამაშებაც დიდი დიქტატორების ყალიბის მაქსიმალური დაცვით მოხდა! ნასერის რწმენით, „გაერთიანებული არაბული რესპუბლიკა" მხოლოდ საძირკველია, რომელზედაც პანარაბული ძლიერი სახელმწიფო უნდა აშენდეს.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ „გაერთიანებული არაბული რესპუბლიკის" ტერიტორიალურ მთლიანობას ხელს უშლიან გაერთიანებაში არ შემავალი ქვეყნები, და არ შეიძლება ამ გარემოებას განსაკუთრებული სიმწვავით არ განიცდიდეს არაბთა ახალი ხალიფა.

უპირველეს ყოვლისა, ამ ფოკუსში ყურადღებას იქცევს ისრაელის სახელმწიფო. უგუნურება იქნება, ვიფიქროთ, „პანარაბული იმპერია" ურიასტანით! მაშასადამე საფიქრებელია, რომ არაბეთის „გაერთიანებას" უპირველეს ყოვლისა არაბულ ზღვაში ამ პატარა კუნძულის წაშლა, წალეკვა, გადაყლაპვა და მისი მონელება დასჭირდება. სხვანაირად არაბეთის ტერიტორიალური მთლიანობა და შუა აღმოსავლეთში ერთი მთლიანი არაბული სახელმწიფოს შექმნა წარმოუდგენელია.

როგორ შეხვდება არაბების მიერ ებრაელების სახელმწიფოს გადაყლაპვას, არა მარტო 1.800.000 პალესტინაში მცხოვრები ებრაელი, რომლებიც თავის სახელმწიფოს სანიმუშოდ ქმნიან და აშენებენ, არამედ მთელ მსოფლიოში გაბნეული (და ბევრ სახელმწიფოში დიდი გავლენის მქონე) ებრაელობა და მთელი დასავლეთის თავისუფალი დემოკრატიული ქვეყნები, რომელთა გარანტიაც ებრაელობას აქვს?

აი ახალი ნაღმი, რომელიც ნასერმა შუა აღმოსავლეთში ჩააგდო და რომლის აფეთქებაც ყოველ წუთშია მოსალოდნელი.

მეორე ქვეყანა, რომელიც სირია-ეგვიპტის გაერთიანებულ რესპუბლიკას ერთი მეორეს ტერიტორიალურად აშორებს საუდ არაბეთია, რომელიც გაერთიანებაში არ შედის.

საუდ არაბეთი ნავთის ერთი ძლიერი წყაროა. გარდა ტერიტორიალური მოსაზრებისა, ნასერს უსათუოდ ესეც მიიზიდავდა. სუეცის არხის და სირიის შემდეგ, საუდ არაბეთი ისეთი თვალწარმტაცი მიმზიდველობით გამოიყურება, რომ ძნელი საფიქრებელია, ყოვლად თავშეკავებულმა და მაგარი ნერვების დიქტატორმაც კი თავი შეიკავოს და ამ აკრძალულ ხილს არ წაეპოტინოს. ამიტომ, როგორც არ უნდა დასრულდეს საუდ არაბეთის დასავლეთური ორიენტაციის მეფის გაძევების დღევანდელი ცდა, მასზე თავდასხმები არც მომავალში შეწყდება და თუ მას „დემოკრატიულმა სახელმწიფოებრიობამ" არაფერი უშველა, წინასწარ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი ბედი განწირულია' თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ რუსეთს ამ მხარეში დიდი ინტერესი აქვს და ის ყოველნაირად უწყობს ხელს არაბეთის ზღვის მღელვარებას.

რუსეთის ცდებს, შუა აღმოსავლეთში შესაჭრელად, შორეული წარსული აქვს, მაგრამ ამას, მეტად ვულგარულად და დაუფარავად, მაინც თანამედროვე რუსეთი სჩადის. რუსეთი პერმანენტულად მუშაობს შუა აღმოსავლეთიდან დასავლეთელების გამოსადევნად და იქ თავის პოზიციების განსამტკიცებლად. ხოლო რათა თვითონ აიცდინოს ყოველგვარი საფრთხე, ამიტომ ის მოქმედობს არაბების ეროვნულ - განმანთავისუფლებელ გრძნობაზე და პირველ რიგში მხოლოდ არაბულ იდეებს აყენებს და ხელს უწყობს და ზრდის არაბულ ნაციონალიზმს. ცხადია, რუსეთი შეეცდება, მმართველობაში თავისი ნდობის ხალხიც იყოლიოს და მათი საშუალებით თავისი პოზიციები და ინტერესები დაიზღვიოს, მაგრამ ეს იმგვარი სიფრთხილით, რომ არაბული ნაციონალიზმი არ დააფრთხოს და გონში არ ჩააგდოს. ამ სიფრთხილეს ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ სირიის შეერთების შემდეგ, ადგილობრივი კომუნიზმის ლიდერი იძულებული იყო მოსკოვში წასულიყო.

მეორეს მხრით, რამდენად მეტად დაუპირდაპირდება ნასერი დასავლეთელებს და დაშორდება მათ, იმდენი მეტად გახდება დამოკიდებული რუსეთზე. ეს მოსკოვმა იცის და ამიტომ, ჯერჯერობით ბევრ უსიამოვნო ამბებს სიამოვნებით გადაყლაპავს. მისთვის მთავარია: რაც შეიძლება მძლავრად აღელდეს არაბული ოკეანე და შიგ მდგომი დასავლეთელი გემები ჩაძიროს, შემდეგ პირისპირ შერჩენილ ნასერს თვითონვე გამოავლებს პირში ჩალას!

ამ მოვლენებში საინტერესოა „ღიმილის პოლიტიკით" გართული და „ჩაურევლობის" პრინციპის მაღალი მორალით დამცველი დასავლეთის პოზიცია, რომელმაც გუშინ სუეცის არხის თავისუფლად სარგებლობის უფლება დაკარგა, დღეს მთლიანად შუა აღმოსავლეთის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას და ხვალ, მოსალოდნელია, ინდონეზიის და საჰარის დაკარგვა.

**ვ. სანგულია**

## რუსული იმპერიალიზმი და ქართული პატრიოტიზმი

(გაგრძელება. იხ. № 25)

II

სრულიად სხვა მიზნით, სხვა გადაწყვეტილებით, სხვა პოლიტიკური და სამხედრო ხერხით — ტაქტიკით, სხვა იარაღითა და სხვაგვარი „ქრისტიანულის" ზნითა და მორალით გვევლინება მე 18 საუკუნის მე 20-ან წლებიდან „დიდი რუსეთის" იმპერია, პეტრე დიდის გაუმაძღარისა და შორსმჭორეტი თვალით, კავკასიონის მყინვარებიდან, აზია-აფრიკა-ინდოეთ-ევროპის ცის კიდემდე რომ ხარბად გასცქეროდა, და კავკასიონის ფერხთმდებარე საქართველოსა და კავკასიასაც ვითომც მოწყალებით გადმოხედა.

რუსეთს, მისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დასაბამიდან, საკმაოზედ მეტად დიდი და ვრცელი, თანაც ნოყიერი და მდიდარი მიწა-წყალი ჰქონდა. აკლდა მხოლოდ შინაგანი წესი და წყობილება, ხალხის ცხოვრებას, რომ კალაპოტში აგდებს და სახელმწიფოებრივ ფორმასა თუ სახეობას აძლევს. რუსის ხალხმა თვით, მისი საკუთარი გონებითა და თაოსნობით ვერ შესძლო მის ვრცელ ტერიტორიაზე წესისა და რიგის, შექმნა-დამყარება და სახელმწიფოებრივ გზაზედ გამოსვლა. მან ვარიაგთა მთავარი რიურიკი მოიწვია, რომელმაც წეს-

## კ ა ვ კ ა ს ი ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ა

**მოხსენება, წაკითხული ქართულ - კავკასიურ კრებაზე, 1946 წელს მიუნხენში.**

**პროფ. მიხ. ახმეტელი.**

**პოლიტიკურ - იურიდიულ მეცნიერებათა და ფილოსოფიის დოქტორი.**

კავკასია კავკასიელებს! ეს უნდა იყოს საქართველოს ლოზუნგი. საქართველოს ორიენტაცია ინტერნაციონალურ, პოლტიკურ და უფლებრივ ფორუმზე; ეს არის დღეს კავკასიის კონფედერაციის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მისწრაფება — მისი ნეიტრალიზაცია, შვეიცარიზაცია; ეს არის საქართველოს იდეალი და ამ იდეალისათვის უნდა მან იბრძოლოს.

კავკასიის ნეიტრალიზაციას შეუძლია დიდი კონსტრუქტული წვლილი შეიტანოს მსოფლიო მშვიდობიანობის დამყარებაში, საერთო და ხანგრძლივი ზავის ორგანიზაციულ მოწყობაში. ცნობილია, რომ კავკასია წარმოადგენს, როგორც ჩრდილოეთისათვის, ისე სამხრეთისათვის ძვირფას ობიექტს იმპერიალისტურ-აგრესიული მისწრაფებებისათვის. მისი ეკონომიური რესურსების, სამხედრო-პოლიტიკური, სტრატეგიული, კომუნისტური და საერთოდ გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო. რუსეთი თავის ექსპანსიას უმთავრესად სამხრეთისაკენ, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კავკასიის პლაცდარმაზე დაუყრდნობლად, როგორც წარსულში, ისე დღესაც, ვერ განავითარებდა. ამიტომ, როგორც ჩრდილოეთის პანსლავური-„პროვოსლავური", „ველიკოროსიულ - სამოდერჟავეულ", ისევე სამხრეთის „ისლამურ-თურანულ" მიდრეკილებანი [illegible] კავკასიას, როგორც [illegible] მათი იმპერიალისტური კომბინაციების; ა. კავკასიაში ხდება გადაკვანძვა მათი ექსპანსიური ინტერესებისა.

ამრიგად, კავკასია იქნება მუდმივი წყარო იმპერიალისტური აგრესიისა, სამხედრო ავანტურიზმისა, მსოფლიო კონფლიქტებისა და ამგვარად, მუდმივი საშიშროების ნიადაგი საერთო მშვიდობიანობისათვის. კავკასიის კონფედერაციის ნეიტრალიზაცია გადააქცევს კავკასიას ამ იმპერიალისტების ისტორიული ბაზის და ხიდის, მშვიდობიანობის ლობეთ; ალაგმავს ექსპანსიურ ძალებს, მოახდენს დამპყრობთა სულისკვეთების პარალიზაციას და ამ გზით შექმნის აუცილებელ პირობებს მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის.

კავკასიის ნეიტრალიზაცია უფრო მნიშვნელოვან ნაყოფს გამოიღებს მომავალ მსოფლიო ვითარებაში, ვიდრე შვეიცარიამ გამოიღო წარსულში. და აი ეს მნიშვნელობა და როლი საქართველომ უნდა გააგებინოს მსოფლიო პოლიტიკის ხელმძღვანელ წრეებს და ინსტიტუციებს. უკვე სჩანს, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში ცოტად თუ ბევრად, გარკვეულნი არიან ამაში. მათ დაეხმარა ის საფუძვლიანი სამეცნიერო კვლევა-ძიებანი, რომელიც მათ გერმანიაში დახვდათ. ამით აიხსნება, რომ იმ პოლიტიკურ რუქებში, კავკასია უკვე როგორც დამოუკიდებელი, სატელიტთა ქვეყნებთან თანასწორ სახელმწიფოებრივ ერთეულად შეაქვთ, რომ იქ დეკომპოზიციის, რუსეთის დაყოფის მცნება ფეხს იკიდებს.

კავკასიის მეზობელი სახელმწიფოები თვითონ უნდა იყვნენ კავკასიის კონფედერაციის ნეიტრალიზაციაში დაინტერესებულნი, თუ მათ იმპერიალისტურ - აგრესიულ პოლიტიკაზე, ექსპანსიის სულისკვეთებაზე ხელის აღება, მშვიდობიანი, მეზობლური ურთიერთობის გზაზე დადგომა უნდათ. ან თუ სურთ, რომ მოულოდნელი ექსპანსიისაგან დაზღვეულნი იყვნენ, მაშინ თვითონ უნდა დაგვეხმარონ კავკასიის ნეიტრალიზაციის განხორციელებაში. უფრო მეტი, მათ უნდა აიღონ ამისი ინიციატივა. საუბედუროდ, ეს ასე არ არის.

ამ დიდ მეზობლებში, პირველთაგანი სპარსეთია დაინტერესებული კავკასიის კონფედერაციის ნეიტრალიზაციაში. მისი პოლიტიკური მდგომარეობა უკარნახებს მას მეგობრულ განწყობილებას კავკასიის სახელმწიფოებთან. სპარსეთი მოხარული იქნება, რუსეთის მუდმივი მუქარა მისი სახელმწიფოებრივი მთლიანობისადმი, საბოლოოდ ალაგმული იყოს. კავკასია-სპარსეთის განწყობილებას ისტორიულ ვითარებაში პოზიტიური მხარეებიც ჰქონდა. საქართველოს მისწრაფება უნდა იყოს, მასთან მეგობრული და ნდობით აღჭურვილი განწყობილება შექმნას.

კავკასიის ნეიტრალიზაციაში არა ნაკლებ უნდა იყოს დაინტერესებული ოსმალეთიც. მას ხომ კავკასიიდან მუდამ მოელის საშიშროება რუსეთისაგან. ეს შიში აიძულებს მას მუდმივი თავდაცვის სამზადისში იყოს და გარეთ დიდი მფარველი ეძებოს. თუ დღეს ოსმალეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას [illegible] საქართველო - კავკასიის დაპყრობის ცდამ რუსეთი არ შემოიყვანა საქართველოში და კავკასიაში? და ახლაც განა რუსეთი შეურიგდება კავკასიაზე ხელის აღებას, თუ იგი ოსმალეთს ჩაუვარდა ხელში?!

ამასთანავე, როგორ შესძლებს ოსმალეთი თავისი განუვითარებელი ეკონომიურ - სოციალური სტრუქტურით კავკასიის მაღალი, განვითარებული როგორც სოფლის ისე ინდუსტრიული, მეურნეობის წინსვლის ხელმძღვანელობას? ან და ამგვარ მდიდარ ქვეყანას ვინ გადასცემს მას? ისიც უნდა ითქვას, რომ კავკასიის ერები იმიტომ კი არ იბრძვიან რუსეთისაგან განთავისუფლებისათვის, რომ ოსმალეთის კოლონიად გადაიქცნენ! თვით მაჰმადიანი ერები კავკასიის კონფედერაციისაკენ ილტვიან. ამას ხელს უწყობს კავკასიის ერთა განსაკუთრებული, უძველესი ზნე-ჩვეულებანი ტრადიცია, უაღრესი რასიული და რელიგიური ტოლერანტიზმი. ოსმალეთმა ისიც უნდა იცოდეს, რომ კავკასიის მუსულმანობაში, უკანასკნელ გენერაციის ხანაში ღრმა გადატრიალება მოხდა. მათი დიდი უმრავლესობის სულისკვეთება უპირველეს ყოვლისა ნაციონალურ - კავკასიურია. და არა პანისლამური და პანთურანული. ესენი მიისწრაფიან ერთისაკენ: მათი ადათთა მიხედვით თავისუფლად იცხოვრონ და თუ დაინახავენ რომ ეს შეუძლებელია კავკასიის ფედერაციის ფარგლებში, მათ ვერავითარი ძალა მოღალატეობის გზაზე ვერ დააყენებს. ამიტომ ოსმალეთმა თვითონაც კი უნდა შეუწყოს ხელი კავკასიის კონფედერაციის შექმნას და მისი ნეიტრალიზაციის [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობილება შეუქმნა მას და „ნოვგოროდის სამთავროს“ სახელით, სახელმწიფოებრივ ასპარეზზედ გამოიყვანა რუსეთი დე მის მომავალ განვითარებასა და ზრდას სულიერი და მატერიალური საფუძვლებიც ჩაუყადა. ამ დროიდან რუსეთის მიწა-წყლისა და მის სივრცეში ფართოთ გაშლილი მოსახლეობის ზრდა და მათი მატერიალური განვითარება შეუჩერებელი სისწრაფით მიდიოდა და ძველმა „ნოვგოროდის სამთავრომ,“ რუსეთის სახელმწიფოს სახელი დაიმსახურა და იმ ეპოქის სახელმწიფოთა რიგებშიაც ჩადგა.

რუსეთის სახელმწიფომ ვერ გაუძლო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოწოლილ მონღოლთა ტალღებს, რომელმაც გადმოსტეხა მისი საზღვრები თუ ჯებირები და რუსეთის მთელ სივრცეს მოედო. ოთხი ვრცელი და გრძელი საუკუნე ბატონობდნენ და მმართველობდნენ მონღოლები რუსეთის ხალხზე თუ სახელმწიფოზედ. შეუძლებელი იყო, მონღოლთა ძლიერებას, რომელიც 400 წლის განმავლობაში დღე და ღამე თავს აწვა და წნეხდა, მთელი მისი სიმძიმით, რუსეთის ხალხსა და თვით ქვეყანას, მნიშვნელოვანი კვალი და დაღი არ დაემჩნია ამ სახელმწიფოს სხეულზედ. მან რასიული შერევა, ფიზიკური და სულიერგონებრივი აღრევა და გარდაქმნაც შეიტანა ამ სლავიანური რასის ხალხში. ოთხი მძიმე საუკუნის შემდეგ, ფორმალურად თუ ადმინისტრატიულად, მონღოლთა ბატონობისაგან, განთავისუფლებულ რუსის ხალხს, უთუოდ ვეღარ შეეძლო მისი პირველყოფილი სულიერი სათავეებისადმი მიგნება. ის ცხადია თავს ვეღარ დააღწევდა მონღოლთადმი რასიული და სულიერ-გონებრივი ხასიათის ტყვეობას. შესაძლებელია იგი ასცდა მის ეროვნულ-ისტორიულ მისიას, რომელიც შეიძლება სხვა მიმართულებითა და გზით მიჰყავდა რუსის ხალხი. ხანგრძლივი მძიმე მონობის განმცდელი და ეროვნულ თავმოყვარეობაში დაჭრილი ერი, რევანშისა და შურის ძიების სურვილმა გაიყოლა და მონღოლურის, სხვათა დაპყრობა-დამონების გზით მიიმართა მისი ისტორია. შესანიშნავი ის არის, რომ გამონღოლებული რუსის ხალხის რევანშადი მიმართულია არა მისი ხანგრძლივი მპყრობელის და ძლიერისადმი, არამედ იმ პატარა ერთა და სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელთა დაპყრობა და გარდაქმნა ვეღარ შესძლეს მონღოლებმა თუ თურქმენებმა. რუსის ხალხი ამ დროიდან დაწყებული მსოფლიოს ევლინება. როგორც ძველ მონგოლთა დამპყრობელ ომთა გამგრძელებელი. და მათი პოლიტიკის მემკვიდრენი.

რუსთა პატარა თუ დიდი მეფენი, რომანოვთა სახლიდან, სლავიანური რასის ხალხთა მფარველათა სთვლიდნენ თავიანთ თავს, და მათზედ მეტის მზრუნველობით, ცეცხლითა და მახვილით იპყრობდნენ და იმონებდნენ ამ სლავიანურ ხალხებსა და ერებს.

რუსეთის მეფეებს მართლმადიდებელ - ქრისტიან ხალხთა მფარველადა და მებაირაღტრედ მიაჩნდათ თავიანთი თავი და მათ ირგვლივ არსებულ ახლობელს რუ შორეულ ქრისტიანულ ერებსა და ქვეყნებს, ვითომდა უსჯულოთაგან გადასარჩენად, მახვილი ხიშტითა თუ შუბით ულმერთოდ იპყრობდა და იმორჩილებდა. იშვიათად თუ რომელიმე სლავიანური ან ქრისტიანული ერი და სახელმწიფო გადაურჩა, მისი ფრთებისათვის მისაწვდენ სივრცესა და არეში. რუსეთის შავსა და ორთავიან არწივის ძლიერსა თუ მოწამლულ კლანჭებს.

ასე შექმნა სულ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში ის დიდი რუსეთის იმპერია, რომელიც ჩრდილო აღმოსავლეთიდან, თავს წამოადგა ევროპისა და აზიის ძლიერ სახელმწიფოებს, ბალტიის, შავი და კასპიის ზღვათა ნაპირებზედ მაგრად ფეხდადგმული. ამდროიდგან ის მსოფლიო ძლიერ სახელმწიფოთა თუ იმპერიათა რიგებში ჩადგა და საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მონაწილე გახდა.

ილიას ძლიერი გონების მახვილი თვალი, წარსულ დიდების ნანგრევების ქვეშ მოყოლილ ქართულ ცხოვრებას რომ სწვდებოდა, იმავე დროს, იმავე სიძლიერით ახლო და შორეულ მომავალსაც აღწევდა და ითვალისწინებდა. მისი უნივერსალური ცოდნა და მოსაზრება, ძველი და ახალი, აზია-ევროპა-აფრიკის და ამერიკის ქვეყნების ისტორიის, პოლიტიკისა და მისწრაფებათა ღრმა ცოდნა და მოწინავე სახელმწიფოთა შორის უთანხმოების საკითხების, (განსაკუთრებით ახლო და შორეული აღმოსავლეთის არეზე), შესწავლა, მას საშუალებას აძლევდა შორეულ მომავლის განჭვრეტასა და გათვალისწინებას. მან უთუოდ ისიც იცოდა, რომ აზია-აფრიკა-ევროპის, დასავლეთ-აღმოსავლეთის შუა გეოგრაფიულად მდებარე მისი ქვეყანა, მომავალ მსოფლიო გართულებათა კვანძში მოხვდებოდა და რომ უკვე შემოჭრილი და ძალით დამკვიდრებული რუსეთის იმპერია, რომელიც მომავალ მსოფლიო კონფლიქტებში ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი უნდა ყოფილიყო, არაფერს არ დაზოგავდა, ქართველების სრული გადაგვარება-გარუსებისათვის და ამ ევროპისაკენ და აზია-აფრიკა-ინდოეთისაკენ, ხმელეთითა თუ ზღვით მიმავალი გზის — საქართველოს სამუდამოთ რუსული იმპერიის სხეულისადმი სრული შემტკიცებისათვის.

მის ფართო და ყოვლის მიმწვდომ ცნობიერებას არ შეიძლებოდა გამოჰპაროდა პეტრე დიდის ის ცნობილი ანდერძი, რომელიც მან 1709 წელს პოლტავის ბრძოლებში კარლო მე-12-ის დამარცხების შემდეგ, საველე კარავში დასწერა და მისი ტახტის მემკვიდრეებს დაუტოვა, როგორც სიტყვა-სიტყვით, რუსული იმპერიალიზმის, ალსასრულებელი პროგრამა.

„მაღალი ღმერთი, რომლის ნებიდანაც გარდმოდის ჩვენი არსებობა და რომლის მიერ ნაკურთხი გვირგვინი ჩვენს თავს ამკობს, ღვთაებრივის შუქით გვინათებს წინამდებარე გზას, რაც ჩვენ გვაძლევს საშუალებას სისწორით განვსჭვრიტოთ მომავალში რუსის ერის უდიდესი დანიშნულება — მისი ევროპაზე გაბატონებისა. ეს ჩემი წინასწარმეტყველება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ევროპის ერებმა მიაღწიეს მოხუცობისა და დაკნინების ხანას, რომლისაკენაც ისინი ჩქარის ნაბიჯით დაექანენ. აქედან გამომდინარეობს, რომ ეს ერები ადვილად შეიძლება დაპყრობილ იქმნან ახალი და ახალგაზრდა ხალხის მიერ, როცა ეს უკანასკნელი მიაღწევს მთელ მის სულიერსა და ფიზიკურ განვითარებას. მე მწამს ჩრდილოეთის ერის მიერ დაპყრობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებისა, თანდათანობით, ზეგარდმოსული სასწაულისა და კურთხევის წყალობით, ისევე როგორც რომის იმპერია დაემხო ბარბაროსთა მიერ დაპყრობით. მე რუსეთი მივიღე როგორც პატარა ნაკადი; მე მას უტოვებ, როგორც დიდს მდინარეს, ჩემი მემკვიდრენი გარდაქმნიან მას დიდ ზღვად, რომელმაც გამოფიტული ევროპა უნდა გაანოყიეროს. ამ დიდი ზღვის ტალღები გადალახავენ სუსტის ხელით აგებულს ჯებირებს, თუ ჩემს მემკვიდრეთ ეცოდინებათ მათი ხალმძღვანელობა.“

ამ ანდერძის განსახორციელებლად, საწარმოო პოლიტიკის მთავარ დებულებებსაც უკარნახებს მის მემკვიდრეებს.

„იყოლიეთ რუსის ერი განუწყვეტლივ საომარს განწყობილებაში, რომლითაც შეგეძლებათ იყოლიოთ ჯარისკაცი მუდამ გაწვრთნილი და ვაჟკაცი. ერი დაასვენეთ მხოლოდ სახელმწიფო ფინანსების გასაუმჯობესებლად და ჯარის გარდასაქმნელად. უთვალყურეთ და შეარჩიეთ დრო შეტევისათვის. ამგვარად ამსახურეთ მშვიდობიანობა ომსა და ომი — მშვიდობიანობას, რუსეთის გაძლიერებისა და განდიდებისათვის.“

(გაგრძელება იქნება)

**ელ. პატარიძე**

## ჭეშმარიტად აღსდგა!

**(რელიგიურ-ფილოსოფიური ნაწყვეტი)**

1927 წელი. თბილისის ულმერთოთა და ურწმუნოთა საზოგადოება, ნაძალადევის თეატრის დარბაზში აწყობს მორიგ მოხსენებას ანტირელიგიურ თემაზე. დარბაზი სავსეა. დამსწრეთა დიდი უმრავლესობა რკინის გზის მუშა-მოსამსახურებია. თავმჯდომარეობს ფილიპე მახარაძე. მომხსენებელია ერქომაიშვილი. უნივერსიტეტის არალეგალურმა ორგანიზაციამ, მოხერხებულად „გაალიზიანა“ ღრმად მორწმუნე ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და კამათში მონაწილეობის მიღება სთხოვა. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი უყოყმანოდ დათანხმდა. სხდომის გახსნის წინ, ის უკვე რიგებში ზის. მომხსენებელი, ჩვეულებრივი, კომუნისტური, გაცვეთილი ტრაფარეტებით გვიმარტავს — რელიგია ეკონომიური მონობის ნაშობია და ერთ ერთი ხელსაყრელი საშუალება ძლიერთა მიერ თავიანთი ინტერესების დასაცავად, მაგრამ მას ელება ბოლო — მსოფლიოს პროლეტარული რევოლუცია საბოლოოდ აღმოფხვრის და გააქრობს ამ, ხალხის მომადუნებელ ოპიუმს. იესო ქრისტე არასოდეს არ არსებულა, და ცდა ამ გულუბრყვილო ლეგენდის აღდგენისა — უაზრო და უნაყოფოა. რათაც ფანტასტიური ქრისტე უნდოდათ ხალხისათვის გაეხადათ, დღეს ის ლენინია. ასე, რომ თქვენ ყველა ხედავთ, ამხანაგებო, რომ ხუცესთა აღდგომის მაგიერ, ჩვენ უნდა ვიდღესასწაულოთ აღდგომა ულმერთოთა, აღდგომა რევოლუციონური. — აწეული ხმით და უშნო მედიდურობით ამთავრებს რეფერანტი.

გაისმის მჭლე ტაშის ცემა. მოკლე პაუზის შემდეგ, თავმჯდომარე მიმართავს საზოგადოებას: — სასურველია, ამხანაგებო, რომ გაიმართოს დისკუსია. მსურველებს ვსთხოვთ, ჩაეწერონ. — შეიძლება ორიოდე სიტყვა? — მოისმის უკანა რიგებიდან. ხალხში მოძრაობაა. ცნობისმოყვარეობის ტალღამ გაირბინა მთელს დარბაზში...

— რასაკვირველია, მოქალაქევ, ამობრძანდით სცენაზე, — მიუგებს თავმჯდომარე. მხოლოდ გთხოვთ თემას ნუ გადაუხვევთ. ილაპარაკეთ არსებითად და არა მეტი ათი წუთისა. — ჩემთვის ორი წუთიც საკმარისია.

ფერმკრთალი, გამხდარი სახის მოძღვარი, აუჩქარებლად, დინჯად ადის კათედრაზე, თავს დაუკრავს შეკრებულებას და მშვიდი დამაჯერებლობით წარმოსთქვამს:

— **ქრისტე აღსდგა!**
— **ჭეშმარიტად აღსდგა!**

უმალ უპაუხებს თითქმის მთელი დარბაზი.

— მე ყველაფერი ვსთქვი — უცხადებს თავმჯდომარეს „უპრეტენზიო“ ოპონენტი და ბრუნდება თავის ადგილზე.

სამარისებური წუთიერი სიჩუმე. შემდეგ, უცბად იგრიალა ტაშისცემამ, რომელიც ოვაციებში გადავიდა. კომუნისტების, საგანგებო მიზნისათვის მოწყობილი მოხსენება ანტირელიგიურ თემაზე, ერთმა სა-განგებო სიტყვამ გაანიავა. — ლუარსაბ ანდრონიკაშვილსაც აღარ დასჭირებია სიტყვის თქმა.

ასეთია თავისუფალი სიტყვის ცხოველმყოფელი ძალა! ამის გარეშე არ არსებობს, არც ცოდნა-განათლება და არც რაიმე შემოქმედება. ტყუილად კი არ არის სახარებაში ნათქვამი: **„და პირველად იყო სიტყვა!“**.

**შ. კალანდაძე.**

თიერთობის საკითხთა მეზობლური მოწესრიგებით.

რუსეთი შეეჩვია კავკასიაში ბატონობას. ეს მას ნორმალურ მოვლენად მიაჩნია. ეს იმპერიალიზმი ახასიათებს საერთოდ რუსულ, როგორც „პროვოსლავნი - სამოდერჟავნულ“ კომუნისტურ, ისე სოციალისტურ აზროვნებას. რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამის პუნქტი ერების თვითგამორკვევაზე — ეს ბნელი სარეკლამო ნიღაბია! საზოგადოდ, არც ერთი რუსული პოლიტიკური პარტია, ან ჯგუფი, თავის ნებით კავკასიაზე ხელს არ აიღებს, რადგან იმპერიალიზმი ბიოლოგიური, ტრადიციონალური თვისებაა რუსებისა. რუსეთს რომ მართლადაც სხვა ერების დაპყრობის გზის დანებება და მშვიდობიანი, დემოკრატიული, ერთა ნაციონალური სახელმწიფოებრივი უფლებების აღდგენის, ახალი ეპოქის დაწყება უნდოდეს, მაშინ მას საუკეთესო საბაბი ეძლევა ამისი საქვეყნო დემონსტრაცია მოახდინოს კავკასიაზე ხელის აღებით. მაგრამ ის ამას არ იზამს. კაკალს შეჩვეულ ყვავს მხოლოდ ძალით გააგდებინებ მას.

ჩვენ რუსი ხალხის არც სიძულვილი, არც მტრობა გვაქვს. ჩვენ გვინდა მათთან მეზობლური და მეგობრული ურთიერთობა, ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლა. მაგრამ ერთი შეურყეველი პირობით — როგორც თანასწორი, დამოუკიდებელი ნეიტრალური სახელმწიფოები. და რადგან რუსეთი ამას გმობს, საქართველო იძულებულია თავისი დამოუკიდებლობის, კავკასიის კონფედერაციის სახელმწიფოებრივი აღდგენისათვის უკომპრომისოთ იბრძოლოს. შეიძლება, ეს უბრძოლველადაც მოხდეს.

ბუმბერაზი რუსეთის დამღვევი როლი ქვეყნებთან ურთიერთობაში მსოფლიომ უკვე საკმარისად შეიგნო. იგი ევლინება მას როგორც სხვა ერების დამპყრობი, უხეში ცინიკური აგრესორი, ავანტურიზმის და მსოფლიო კონფლიქტების წყარო. დაყრდნობილი თავის რუს მილიონიან ჯარზე, დღეს იგი შეიჭრა ყველა ქვეყნებში, ემუქრება მათს სახელმწიფოებს შიგნიდან აფეთქებით, უნგრევს ნაციონალურ კულტურას, უძლეტს საუკეთესო ეროვნულ ძალებს, სწამლავს მსოფლიო ჰაერს რუსული ნაციონალიზმით და სხვა. ჯერ ჩვენ არ ვიცით, თუ კიდევ რა უზარმაზარი ფიზიკური და მატერიალური მსხვერპლის გაღება დასჭირდება კაცობრიობას ამ რუსული ჯარისაგან მსოფლიოს ხსნისათვის. განათლებული ქვეყნები დარწმუნდნენ, რომ რუსი ხალხის ბიოლოგიური თვისებები ვერ შეეგუება ხალხოსნურ, დემოკრატიულ ზნე-ჩვეულებათა მართვა-გამგეობასა და საერთოდ მშვიდობიან პოლიტიკურ ვითარების შექმნას. ასე იყო წარსულში. ასე არის დღეს და ასე იქნება მომავალში. რუსობას შეუძლიან მხოლოდ ტოტალური, დიქტატორ - ტერორისტული რეჟიმების შექმნა. ასეთი იყო ცარისტული და ასეთივეა, მხოლოდ უფრო უსასტიკესი, საბჭოთა ძალა-უფლება. და ამგვარი იქნება მომავალი რეჟიმიც. მსოფლიო იმასაც იგებს, რომ თვით რუსობა ვერ იჩენს შნოს და უნარს თავის სახელმწიფოს ხელმძღვანელობა საკუთარ ხელში ჩაიგდოს. რამდენჯერ არა რუსული, შემთხვევითი ავანტურისტი ელემენტები, მრავალფეროვან პიროვნებათა კონგლომერატი დაჰპატრონებიან რუსეთის ძალა-უფლებას. ეს ახასიათებს რუსის ხალხს დ არა იმ ერებს, რომლებიდანაც ესენი გამოსულნი არიან. რა ქართველების ბრალია, რომ მათ მიერ საქართველოდან გარიყული სტალინი რუსეთს სათავეში მოექცა. განა გოდუნოვი ან და ბირონი და სხვები ავანტიურისტები და ტერორისტები არ იყვნენ? და აი, ამისთანა რუსეთისადმი, მისი ნორმალური, დემოკრატიული, მშვიდობიანი განვითარებისადმი მის მიერ საერთაშორისო უფლებათა დაცვისადმი ვის უნდა ჰქონდეს ნდობა?

ვიდრე რუსეთის ბუმბერაზი იმპერია არსებობს, მსოფლიოს არ ექნება მოსვენება, სანამ კონფლიქტების და ომების ეს მთავარი წყარო არ დაილევა. ერთად-ერთი გამოსავალია რუსეთის დაყოფა, დეკომპოზიცია. ეს შეგნება ვრცელდება და საერთო შემეცნებათ შეიქმნება, როდესაც კაცობრიობა საზღაპრო მსხვერპლის გაღებით ბოლშევიკურ - კომუნისტურ რუსეთს დასძლევს.

შესაძლებელია, რომ ჯერჯერობით საქართველომ თავის იდეალს, კავკასიის კონფედერაციის ნეიტრალიზაციას, ვერ მიაღწიოს და იძულებული გახდეს რომელიმე რეგიონალურ უნიონის კომბინაციაში შევიდეს. ამ შემთხვევაში საქართველოსთვის ერთი აშკარაა და უდავო: იმ კომბინაციაში, რომლის წევრი რუსეთია, საქართველო ზემოაღნიშნული მოსაზრებებით ვერ შევა. ეს არც იქნება საჭირო. თვით რუსეთი, დღევანდელი რ.ს.ფ.ს.რ., თავისი უზარმაზარი ტერიტორიით და მრავალრიცხოვანი ნაციონალური მოსახლეობით უკვე მარტო თვითონ წარმოადგენს საკმარის ობიექტს რამოდენიმე რეგიონალური უნიონის კომბინაციისათვის. ამ რუსეთის ფარგლებში დღეს არსებობენ, ჩრდილო კაუკასიის გარეშე, ცხრა ნაციონალური „ავტონომიური რესპუბლიკა“ და სამი ნაციონალური „ავტონომიური პროვინცია“. აქ უკვე სულ უკანასკნელი, სამი რეგიონალური უნიონის შექმნა დასჭირდებათ. ისტორიული ურთიერთობის ვითარების მიხედვით საქართველო ეკუთვნის დასავლეთ ევროპის კულტურის მსოფლიოს. საქართველო სულიერად და ეკონომიურად უმთავრესად ჯერ გადაბმული იყო საბერძნეთ-რომთან და შემდეგ გერმანია - საფრანგეთთან. დღესაც ქართველობა, თავისი სულისკვეთებითა და კულტურით გადაბმულია დასავლეთთან. და თვით დასავლეთ ევროპისათვის კავკასია თავისი ეკონომიკით და კომუნიკაციური მნიშვნელობით წარმოადგენს უსაჭიროეს დამატებას. ახლო მომავალში კავკასია გადაებმება დასავლეთ ევროპას მოკლე და იაფი პირდაპირი ხაზით. გერმანელები უკვე ინტენსიურად შეუდგნენ რაინი-მაინის-დონაუს კანალის დამთავრებას. ამიტომ საქართველოს მისწრაფება უნდა იყოს, როგორმე დასავლეთ ევროპის უნიონის კომბინაციაში შეიჭრას.

ამგვარად, ქართველობას დიდი პოლიტიკური მუშაობის გაწევა მოუხდება და ამას იგი შესძლებს მხოლოდ მაშინ, თუ მან შესძლო თავისი ეროვნული ძალების გაერთიანება, იქ, საქართველოში, ჯოჯოხეთურ ციხეში დამწყვდეული ქართველი ერი ყოველდღიურად იბრძვის და დიდი მსხვერპლი გააქვს ეროვნული არსებობის გადასარჩენად. მან უკვე ამ ბრძოლაში ერთი პირი შეჰკრა, გაერთიანდა და ეს მის ძალთა ერთობა დღითი დღე მტკიცდება. თქვენი წმინდა მოვალეობაა ერის-წინაშე, აქ, საზღვარგარეთ, ემიგრაციაშიც გაერთიანება განახორციელოთ. პარტიული, ჯგუფური, პიროვნული და ხშირად არა პოლიტიკური ინტერესები დაუქვემდებაროთ საერთო ბრძოლას, მიზნის საჭიროებას — საქართველოს ფეხზე წამოყენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბოლშევიზმი მეხუთე ათეულის დასაწყისის პერსპექტივაში

(გაგრძელება. იხ. № 25)

ლენინის დებულება ყველა ჯურის კომუნისტისათვის ურყევია. სტალინს ეს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ერთი წუთით არ დავიწყებია. ამ დებულებიდან წარმოიშვა ნიკიტა ხრუშჩოვის ეკონომიური შეჯიბრების თეორიაც. აქედანვე გამომდინარეობს ახლობელი მიზანი კომუნიზმის პოლიტიკური სტრატეგიისა. ეს უკანასკნელი კი მჟღავნდება ერთი დოკუმენტიდან, რომლის ერთ ადგილს აქ მოვიყვანთ. გაერთიანებული ერების, ინდოეთის სტუდენტთა ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი დოქტორ მატური გვატყობინებს ერთი საუბრის შინაარსს, რომელიც მას ჰქონია აზიის ერთ გამოჩენილ კომუნისტთან. უკანასკნელის წარმოდგენით, მსოფლიო კომუნიზმის ცენტრის — მოსკოვის ახლობელი მიზნები იხატება შემდეგ ხუთ მუხლში: 1. ჩინეთის კონსოლიდაცია, 2. ინდოეთის დაპყრობა, 3. ევროპის ხალხთა გათიშვა, 4. აფრიკაში პოლიტიკური ატმოსფეროს აღრევა და 5. ამერიკის იზოლიაცია.

ამ გამოქვეყნებულ ცნობას ხელს აწერენ კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორი ვილფრედ კოტვერი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი ვერერ ლოტენბურგერი და შტუტგარტის უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლის პროფესორი დ-რ ერ. ფუსი.

აზიის კომუნისტის მიერ ახდილად ნათქვამი, ზედმეტად ნათელს ჰფენს მოსკოვის ნამდვილ ზრახვებს. ეს კი იგივეა, რაც მეფის რუსეთის მისწრაფება იყო. ასეთი მისწრაფების შესახებ ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთი გამოჩენილი კომენტატორი ვალტერ ლიპმანი, რომლის კომენტარიები ყოველდღიურად მრავალ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება, აი, რასა სწერს რუსეთზე: „შეიცვალა თუ არა რუსეთი! ხშირად თქმულა და სამართლიანადაც, რომ საბჭოთა რუსეთის მიზნები არაფრით შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ის სხვა გვარ ტაქტიკას აწარმოებს. შეუმცდარად შეიძლება თქმა, რომ სოვეტების უშუალო, ახლობელი, კონკრეტული მიზანი არაფრით შეიცვლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომუნისტური ძალაუფლების მაგიერ წმიდა რუსული გაბატონდა.

რუსეთის პოლიტიკის ძირითადი მიმართულება გაცილებით ძველია, ვიდრე კომუნისტური რეჟიმი რუსეთში. ამ ჟამად არსებული „რკინის ფარდის“ მოცულობა ევროპაში, ე. ი. ბატონობის ხაზის გაწევა ევროპისაკენ, რუსეთის პოლიტიკის ოცნება იყო ასეული წლების მანძილზე. რუსეთის ყველა მთავრობები მისწრაფოდნენ ყოველთვის პოლონეთის, დონაუს სივრცისა და ბალკანეთზე ბატონობისათვის.

რუსეთის ლტოლვა წინა აზიისა და ინდოეთისაკენ, კომუნისტებით არ დაწყებულა. ამაშიც მჟღავნდება რუსეთის ძველი ტრადიცია. იგივე ითქმის იაპონიისა და ჩინეთის მიმართ აღმოსავლეთ ციმბირში გაბატონებით.

ამით მე მინდა ვსთქვა, რომ საბჭოთა კავშირის მიზანი და მისწრაფებაა პირველ რიგში არა კომუნისტური, და არაფერი შეიცვლება, რა შინაგანი ცვლილებაც არ განიცადოს მან. — უფრო მეტის თქმაც შეიძლება, რაც მეტად ჩამოიხსნის რეჟიმი მარქსიზმის დოგმის ნიღაბს მით უფრო ენერგიული და დაუნდობელი იქნება მისი პოლიტიკა“. **(ცაიტშრიფტ მონატ).**

ვალტერ ლიპმანის დაფასება მით უფრო საგულისხმოა, რომ წარსულში საკითხს ის სხვა პრიზმით იხილავდა.

სამწუხაროდ, თავისუფალი ქვეყნების ზოგი გამოჩენილი მოღვაწე, პოლიტიკოსი, მწერალი, რომელთა გავლენა დიდია საზოგადოებაზე, კომუნიზმისადმი კიდევ ილუზიებით არიან შეპყრობილნი, ე. ი. სწამთ მოსკოვთან თანაარსებობის თეორია. ჯერ თავის თავს აჯერებენ დე მერე ომებისაგან დაღლილ მასებს აძინებენ და ამით კი კრემლს მიზნის გაადვილებას ხელს უწყობენ.

დაახლოვებით ასეთია თავისუფალი მსოფლიოს დღევანდელი სულიერი და გონებრივი განწყობილება.

ხოლო რაც დრო გადის, თავისუფალი ქვეყნების ძალებიც თავს იყრიან, თუმცა ეს გრძელი და ნელი პროცესია. თავისუფალი მსოფლიო, ქართულად რომ გამოვთქვათ, ურმის სიდინჯით მიდის.. სიდინჯე კი ძლიერების მაჩვენებელია და ამიტომ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ურმით სვლა უფრო სანდოა და იმედის მომცემი.

ახლა გადავხედოთ მეორე მხარეს, კომუნისტურ სამყაროს, უფრო კი მისი ტონის მიმცემს, საბჭოთა კავშირს, რომელიც ორმოცი წლის მუხრუჭების სიმწვავეს განიცდის და ისე მოსჩანს, რომ არავითარ შინაგან ძალებს მისი დაძლევა აღარ შეუძლიათ. აქ ჩვენ უნდა გარკვეული ხაზი გავავლოთ მმართველთ პოლიტიკისა და მასების სასიცოცხლო ინტერესებს შორის.

რა ძალები მოქმედობს ბოლშევიზმის სამეფოში: უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური პარტია თავისი აპარატებით: ცენტრალური კომიტეტი, პრეზიდიუმი, პარტიის პირველი მდივანი, რომელსაც უდიდესი ძალა-უფლება აქვს ყოველნაირ საქმეთა მსვლელობაზე. დღეს ნიკიტა ხრუშჩოვია, ხვალ შეიძლება სხვა იყოს, ხოლო პიროვნების შეცვლა არსებითად მდგომარეობას არა სცვლის. პარტიის აპარატის შემდეგ უნდა ვიგულისხმოთ სახელმწიფოს ათი მილიონი მოხელე, თვრამეტი მილიონი „კომსომოლი“, რამდენიმე მილიონი ინტელიგენცია და სულ ბოლოს 150 მილიონი უსიტყვო მოსახლეობა, მრავალ ერთა და ტომთაგან შემდგარი. დასახელებულ ძალებს ემატება ჯარი, რომელიც იგივე ხალხის შვილებისაგან შესდგება. სამხედრო ძალა არ არის ერთფეროვანი, ისიც მრავალ ერთა და ტომთაგან შესდგება. დღეს ისიც უსიტყვოა, ხოლო კრიზისებისა და გართულების დროს რა სახით გამოავლენს თავის ძალას, ამის განსაზღვრა დღეს ძნელია.

დასახელებული ფენები არ არის ერთფეროვანი, მონოლიტური. ამ ფენებშიც მოქმედობს ცენტრისაკენ მიმზიდველი და ცენტრისგან მსრბოლი ძალები. ყველაზე აქტიური ძალა და იმედის მომცემი ახალგაზრდობაა, კომსომოლი და უპარტიო. უნგრეთის, პოლონეთის და ჩვენი სამშობლოს დედა ქალაქის ახალგაზრდობამ გამოამჟღავნა, რომ სწორედ კომუნისტური ახალგაზრდობა იყო რაჟიმის წინაალმდეგ. რასაკვირველია, დასახელებული ქვეყნების ახალგაზრდობას ამოძრავებდა უმთავრესად ეროვნული მომენტი, ხოლო ნუ დაგვავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ორმოცდა თორმეტი პროცენტი არა რუსობაა და თვით წმინდა რუსი ახალგაზრდობის აქტივობის ნიშნებიც ემცნო თავისუფალ მსოფლიოს. ამ მხრივ ძალიან დამახასიათებელია სტალინის სიკვდილის შემდეგი რუსული ლიტერატურა. ის გაუბედავად, ხოლო ბევრ შემთხვევაში, გარკვეულ უკმაყოფილებას გამოხატავს რეჟიმის მიერ დამყარებულ თავისუფალი აზროვნების სულშემხუთავი მდგომარეობის წინაალმდეგ. უდავოა, გარეგნულ ფორმას იგი ღებულობს, თითქოს უსულო და უგულო ხროვა ბიუროკრატიის მიმართ, ხოლო ცხადია., რომ თვით ეს ბოლშევიკური ბიუროკრატია პირმშო შვილია შექმნილი სისტემისა.

ყველაზე მკაფიოდ, ასეთი აუტანელი სულიერი განწყობილება გვაჩვენა საბჭოთა კავშირის ერთმა თვალსაჩინო მწერალმა, **ბორის პასტერნაკმა** თავის ცნობილ რომანში **„დოქტორ ჟივაგო“**. რომელიც პირველად იტალიურ ენაზე გამოვიდა. ბორის პასტერნაკი, ცნობილია, როგორც საუკეთესო მთარგმნელი ქართული ენიდან რუსულად ნიკოლოზ ბარათაშვილისა, აკაკი წერეთლისა და ლეონიძის პოეტურ ნაწარმოებთა.

აი ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილები ბორის პასტერნიკის რომანიდან: „პიროვნებანი, რომელნიც რევოლუციას ახდენენ, ფანატიკოს-სექტანტებია. რამოდენიმე დღეში, რამოდენიმე საათში, განუკითხავად სპობენ ძველ წესრიგს. და სულისკვეთება, რომლითაც სწარმოებს ასეთი ნგრევა, თაობიდან თაობაში გადადის, ვითარცა რელიკვია. ხოლო თავისუფლება, ჭეშმარიტი თავისუფლება და არა სიტყვიერი, შეუმჩნევლად ზეციდან ძირს ეშვება.

„ჩემი რწმენაა, რომ კოლექტივიზაცია, შემცდარი რეფორმა იყო. ის დამარცხდა. ხოლო რათა დაეფარათ ასეთი დამარცხება, შეეცადნენ ყოველგვარი ტერორით აღმოეფხვრათ პიროვნებისაგან აზროვნებისა და მსჯელობის უნარი. აიძულებდნენ ენახათ და დაეწერათ ისეთ ამბებზე, რომელნიც სინამდვილეში არ არსებობდნენ.

მოვიგონოთ ეჟოვის ხანის საშინელებანი, კონსტიტუციის შექმნა, რომლის შესახებ წინასწარ იცოდნენ, რომ ის ცხოვრებაში არ გატარდებოდა. მოვიგონოთ მოჩვენებითი „თავისუფალი არჩევნები...“

რომანის ერთ ადგილს, პოლიტიკური პატიმარი ასე ასწერს ერთ სცენას: „ერთ მშვენიერ დღეს გამოგვიცხადეს: ვისაც სურს თავისუფალი გახდეს, მას შეუძლია ფრონტზე წავიდეს. თუ ომს ცოცხალი გადაურჩა, ის თავისუფალი გახდება“. ხოლო ეს ნიშნავდა მინებით დასერილი ადილების გარღვევას, ელექტროენერგიით გატენილ მავთულის გაგლეჯას. უბრალოდ — სიკვდილს. ამიტომ ჩვენს რაზმს უწოდეს „სასიკვდილო რაზმი“. მეკითხებით თუ როგორ გადავრჩით, იმის გამო, რომ ფრონტის ჯოჯოხეთი სამოთხედ გვეჩვენებოდა — საკონცენტრაციო ლაგერებში ყოფნას. ჩვენ ყველას გვწამდა, რომ ომის დამთავრების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში თავისუფლება მოგვეცემოდა“-ო.

(გაგრძელება იქნება)

**დ. სალირაშვილი**

## ა ბ რ ა მ ლ ი ნ კ ო ლ ნ ი

(გაგრძელება. იხ. № 14 და 21)

ვილმონტის და კალხუნის წინადადება რომ ცხოველი მსჯელობის საგანი გამხდარიყო და დებატები გაგრძელებულიყო, ჯიუტი და მოუსვენარი სამხრეთელი კავშირს უფრო ადრე მიიყვანდა დარღვევამდე, ვიდრე ჩრდილოეთი წინაალმდეგობისათვის მოემზადებოდა. მაგრამ ჰენრი კლეი სწორედ მაშინ დაუბრუნდა სენატს, როდესაც კავშირის შინაგანმა კრიზისმა თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. მან მიზნად დაისახა ყოველი საფასურით გადაერჩინა ფედერაცია, რომელიც თავისთავად კომპრომისზე იყო დაშენებული.

როგორც დავინახეთ, კლეი 1810 წლიდან, მცირედის ინტერვალებით, კონგრესის წევრი იყო. მან თავისი კანდიდატურა სამჯერ წამოაყენა საპრეზიდენტოდ, მაგრამ უშედეგოდ. დ. ადამსის პრეზიდენტობის დროს (1825-1829) იყო გარეშე საქმეთა მინისტრი. ჩამომავლობით ვირჯინიელი, აღიზარდა სამხრეთში. ღია ბუნების, მომხიბვლელ და სიმპატიურ კლეის ზღვაებრ ჰქონდა შემომდგარი პატრიოტული გრძნობები და ამაყობდა, რომ 1820 წელს მან იხსნა კავშირი დარღვევისაგან, მეორედ 1833 წელს და 1850 წელს სამოცდა შვიდმეტი წლის მოხუცი მესამედ გამოვიდა ამავე როლში და ბედმა ამ შემთხვევაშიც გაუმართლა.

კლეიმ იცოდა, რომ ბამბის წარმოება, რომლის დამუშავება სამხრეთელებს მონათმფლობელობის გარეშე არ წარმოედგინათ, შეუძლებელი იყო 98-ტე მერედიანის დასავლეთით, ხოლო მექსიკიდან შემოერთებული მიწები ყველა ამ მიდამოებში იყო. გარდა წყნარ ოკეანეს მახლობლად მდებარე ტერიტორიისა დანარჩენი მშრალი უდაბნო იყო, რომელიც ვერ აიტანდა მონათმფლობელობის პირობებს.

კლეიმ ისიც იცოდა, რომ კალიფორნია, რომლის კლიმატი იგუებდა მონათმფლობელობას, თანახმა იყო კავშირში მხოლოდ იმ პირობით შემოსულიყო, თუ მის ტერიტორიაზე მონათმფლობელობა არ გავრცელდებოდა. ის სწორედ ამ პირობების გონიერ გამოყენებაში ხედავდა სამხრეთის თავმოყვარეობის და ჩრდილოეთის პრინციპების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

(გაგრძელება იქნება)

**არ. დონაური**

## ქართველებმა „დაიპყრეს“ მოსკოვი თერთმეტი დღის განმავლობაში!

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ მოსკოველი კორესპოდენტის, მარტის 30-ის გადმოცემით „ათასობით ჩავიდნენ კავკასიიდან მოსკოვში, რათა დარწმუნებულიყვნენ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების თერთმეტ დღიან ფესტივალის მიღწევებში. როგორც გათვალისწინებული იყო, ქართველმა მსახიობებმა დაიკავეს ყველა თეატრები —დაწყებული „ბოლშოიდან“, გათავებული ცირკამდე. მაგრამ, სრულიად გაუთვალისწინებლად, და გეგმის სრული დარღვევით, ქართველმა მაყურებელმა დაიკავა ყველა თეატრის წინა რიგები.

პარტიის მოსკოვის ორგანიზაციის ლიდერი, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მან ვერ მოახერხა ბილეთების საჭირო რიცხვის შეძენა ისეთი სპექტაკლებისათვის, როგორიც „ქართულ ცეკვათა ანსამბლი“ და თბილისის ბალეტის უნიჭიერესი შემოქმედება „ოტელო“ არის.

განათლების სამინისტროს მაღალი მოხელე ანაწილებდა იმ მცირე რიცხვის ბილეთებს, რომლების შეძენაც მათ მოახერხეს. ბევრი საპატივცემლო უცხოელი დარჩა „უპროტექციოდ“, მათ შორის ერთ-ერთი კომუნისტური ქვეყნის ელჩიც. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ზემოხსენებულმა სახელმწიფო ავტორიტეტმა ვერ შესძლო მათთვის ბილეთების მომარაგება.

მოსკოველები, რომელთაც მოახერხეს დასწრება და ნახეს ქართველების მიერ აქ ჩამოტანილი და გამოფენილი ტანის რხევის სინარნარე, აღფრთოვანებულები დარჩნენ.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშების გამოფენას, კრიტიკამ ვერ მოუძებნა წუნ დასადები ადგილი“.

**ბარაქალა ქართულ ნიჭს!**

თავისუფალი თარგმანი **ნ. თ-სი.**

## ფრანგული პრესა ქართველი მოცეკვავეების შესახებ

**წარსული წლის ბოლოსა და ამა წლის დასაწყისში, ქართული ანსამბლის მიერ ჩატარებულმა ცეკვებმა პარიზში, დიდი და დადებითი გამოხმაურება ჰპოვეს ფრანგულ პრესაში. მოგვყავს ზოგიერთი ნიმუში.**

### „ლე მონდ“

„შეუდარებელი საღამო იყო. მართლაც, გუშინ, „ალამბრის“ დარბაზი საოცარ სანახაობას წარმოადგენდა. ფრანსუა მორიაკმა, ჟან რენემ, სიმონა სინიორემ, ივ მონტანმა და მთელმა პარტერმა თავიანთი ხმა შეუერთეს თეატრის მაყურებელთა საერთო ოვაციას. სავსებით დამსახურებული გამარჯვება... ასეთი სრულყოფილი არაფერი გვინახავს“...

### „ლიბერასიონ“

„დინამიურობა, სილამაზე და კეთილშობილება“ — ამ სათაურით გამოქვეყნდა გი დორნანის სტატია. „ჩვენ ვფიქრობდით, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხური ცეკვებით გამოწვეულ აღტაცებას ბოლო მოეღო. პოლონური, ჩეხური, უნგრული, რუმინული ბალეტის შემდეგ რაღას უნდა გავეკვირვებინეთ? მაგრამ აღმოჩნდა, რომ... კავკასიაში არსებობს ცეკვები, არიან მსახიობები, რომლებმაც ხალხური სრულყოფილი სანახაობა წარმოგვიდგინეს. მან გამოიწვია ენტუზიაზმი არა მარტო ოფიციალურ პირებში, სცენისა და ეკრანის გამოჩენილ მოღვაწეებში, კრიტიკოსებში, არამედ ფრანგი ხალხის ყველა ფენაში. ფარდის ახდიდან მის დაშვებამდე ჩვენ ვიყავით მოწმენი სიჯანსაღის განსახიერების, ვირტუოზობის, მოქნილობის, უჩვეულო და მასთან ერთად ზებუნებრივი სინაზისა, რაშიც გამოსჭვივის ხალხის სულის კეთილშობილება, რომლის უშიშარი მამაკაცები თავს ხრიან მხოლოდ ნარ-ნარი ქალების ღიმილის წინაშე“.

### „პარი-ჟურნალ“

„ათზე მეტჯერ გამოიძახეს ქართველი მოცეკვავეები წარმოდგენის დამთავრების შემდეგ. მათი წარმატება მხოლოდ ჩინეთის ბალეტის წარმატებას შეიძლება შავადაროთ, რომელმაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია პარიზში ამ ორი წლის წინათ“.

### „პარი-პრეს“

„ქართულ ხალხურ ცეკვებში გამოსჭვივის კეთილშობილება და არაჩვეულებრივი დახვეწილობა. ამ მოცეკვავეების ვირტუოზობა საოცარია.... ყველაზე ძალიან ჩვენზე მოქმედებს ის, რომ ამ ხალხურ ცეკვებში იგრძნობა რაინდული და თავაზიანი ხასიათი მამაკაცებისა. მათი მოპყრობა ქალისადმი პატივისცემითა და სიყვარულით არის გამსჭვალული. არ შეიძლება არ მოგაგონდეთ საშუალო საუკუნეების რაინდული ხანა და მისი წარმომადგენლები.

გრძელკაბიანი ახალგაზრდა ქალიშვილები, ოცნების ყვავილების მსგავსნი, ისე დასრიალებენ, თითქოს მიწას არც კი ეხებიანო. მათი პატარა ნაზი ხელის ერთი უბრალო მოძრაობაც კი უსასტიკეს შეტაკებებს აჩერებს“...

### „ლეტრ ფრანსეზ“

სტატიაში „ოქროს ვერძის ქვეყნიდან“ გარჩეულია ზოგიერთი ცეკვა: ტრადიციული „ქართული ცეკვა“ ძალიან გვაგონებს საშუალო საუკუნეების რაინდებისა და მათი დამების სამიჯნურო გაბაასებას.

„...მხოლოდ ტემპერამენტი და სიამაყე არ ახასიათებს ქართველებს. ისინი იუმორსაც კარგად გრძნობენ, და ეს ხომ თვითონ გვიჩვენეს ცეკვით „ლელო“. ლელო ტრადიციული ბურთის თამაშია, რომელშიც მამაკაცები ერთმანეთს ეჯიბრებიან სისწრაფესა და სიყოჩაღეში და ყველაფერი ეს იუმორით არის შეფერილი... „ასეთივე იუმორით აღსავსეა „ჭონიკანების ცეკვაც“.

**EDITORIAL BOARD Dr. G. Gabliani, S, Kaishauri G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia. EDITOR IN CHIEF : D. Sindikeli. 12-29—120 St. College Point. L. I.**
Directeur résponsable Ch Kalandadzé.

Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris-13e